

პროექტის შესახებ

საქართველოში, ქალთა კიბოთი სიკვდილობის შემთხვევათა შორის წამყვანი ადგილი ძუძუს კიბოთი სიკვდილობას უჭირავს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად რეგისტრირდება 650 000-ზე მეტი ძუძუს კიბოს ახალი შემთხვევა, აქედან დსთ-ს ქვეყნების წილად 50 000-ზე მეტი ახალი შემთხვევა მოდის. საქართველოში კი ყოველწლიურად 1000-1200 ახალი შემთხვევა ფიქსირდება წელიწადში. ეს იმას ნიშნავს რომ საერთო სიმსივნურ პათოლოგიაში ძუძუს კიბოთი ავადობის ხვედრითი წილი 1/3-ზე მეტს შეადგენს. თანამედროვე სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით ქალთა დაავადებების საერთო სტრუქტურაში ძუძუს მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებს 13,5%-დან 30%-მდე უჭირავს. ავთვისებიან სიმსივნეთა შორის ქალებში პირველ ადგილზეა ძუძუს კიბო და ქალთა პოპულაციის ონკოდაავადებათა 35%-ს შეადგენს.

ბოლო წლებში არა მარტო ზრდის ტენდენცია აღინიშნება, არამედ აღინიშნება ძუძუს კიბოს გაახალგაზრდავება, მოიმატა შემთხვევათა რიცხვმა 30-39 წლის ქალებში, ხოლო ძუძუს კიბოს დაგვიანებული გამოვლენა სამწუხაროდ კვლავ დიდ პრობლემად რჩება და დიაგნოსტიკა უმეტესად III - IV სტადიაზე.

საქართველოში ძუძუს კიბოს ნაადრევი გამოვლენის მეთოდები ნაკლებად არის დანერგილი და დაავადების გამოვლენა ხდება გვიან სტადიებზე, როდესაც მკურნალობა უკვე რადიკალურ ჩარევას მოითხოვს და არაეფექტურია. სამწუხაროდ მოსახლეობის უმრავლესობამ ნაკლებად იცის რომ ადრეულ ეტაპზე გამოვლენილი დაავადება სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიაა. ბოლო ხუთი წლის მონაცემებით, ძუძუს კიბოს ნაადრევი გამოვლენის შედეგად გამოჯანმრთელდა ავადმყოფთა 97%. ძუძუს კიბოს ნაადრევი ეტაპზე გამოვლენას ხელს უშლის ისიც რომ, ჩვენს ქვეყანაში კიბო ზოგადად აღიქმება სტიგმად, რის გამოც ოჯახები თავს არიდებენ ამ დაავადებაზე საუბარს, ხოლო ქალები თავს იკავებენ სამედიცინო ჩარევისაგან.

ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კავშირი "ჰერა" და სუზან კომენის სარძევე ჯირკვლის კიბოს ფონდი, ეროვნული სკრინინგ ცენტრი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ჯონ სნოუს კვლევისა და სწავლების ინსტიტუტის მხარდაჭერით ერთად მუშაობენ, რათა საქართველოში მცხოვრებ ქალებს სკრინინგისა და მკურნალობის ისეთივე შესაძლებლობები ჰქონდეთ, როგორც განვითარებული ქვეყნების ქალებს.

ქალთა ჯანმთელობისა და კეთილდღეობის კავშირი "ჰერა" ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას მოსახლეობაში, ეხმარება ქალებს სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, ცდილობს აამაღლოს მათი პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, რათა სხვა ქვეყნები ქალების მსგავსად, ქართველ ქალებსაც მიეცეთ შესაძლებლობა დაამარცხონ ძუძუს კიბო მისი ნაადრევ ეტაპზე გამოვლენის გზით.

2005 წლიდან ქალთა ჯანმთელობისა და კეთილდღეობის კავშირი "ჰერა" ორგანიზებას უკეთებს სარბევე ჯირკვლის ჯანმრთელობის პროპაგანდას, აქციით - "მარათონი სიცოცხლის გადასარჩენად". ამ მოდელის სხვა მარათონების მსგავსად, ღონისძიება უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებასა და სწავლებას ძუძუს კიბოს ნაადრევი გამოვლენის მნიშვნელობის შესახებ.

ძუძუს კიბოს ადრეული გამოვლენის მეთოდების გამოყენება, როგორცაა ძუძუს თვითგასინჯვა, ძუძუს კლინიკური გასინჯვა და ყოველწლიური მამოგრაფია 40 წელს ზემოთ ასაკის ქალებისათვის, ქალბატონებს ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე აღმოჩენისა და ეფექტური მკურნალობის საშუალებას მისცემს.

ადრეული გამოვლენა საუკეთესო თავდაცვაა!